წელიწადი მეცხრე.—№ 417

პარასკევი, 29 მარტს 1874.

გაზეთის ფასი

გაგზავნით: ერთი წლით—ექვსი მან., ნახევარი წლით—სამი მ.ნ., სამი თვით—ერთი მან. და ხუთმეტი შაური, ერთი თვით—სამი აბაზი.

წერილები ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ:
Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „ДРОЭБА“.



ხელის-მოწერა

თფილისში: გაზეთის „დროების“ კანტორაში.
ქუთაისში: ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გაზეთი შემდეგი ადრესით უნდა დაიბარონ:
Въ Тифлисъ, въ контору газеты „ДРОЭБА“.

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზედ. სოლომონ მირიმანოვის სახლებში.

კანტორა: ალექსოვის ბიბლიოთეკაში, სასახლის მეიდანზე, შაბუროვის სახლებში.

შინაარსი:

საქართველო: საადგომო—წვრილი ამბები—„დროების“ კორრესპონდენცია: ქუთაისიდგან—რუსეთი: წვრილი ამბები—უცხო ქვეყნები: საფრანგეთი—ესპანია—ინგლისი—კორრესპონდენცია პარიჟიდგან—ნარევი განცხადებანი:

დღესასწაულების გამო შემდეგი ნომერი გამოვა თორმეტ აპრილს.

საქართველო

საადგომო.

მივიდა მიწურულში დიდ-მარხვა, ეს მარხვათ მთავარი. სამი დღე ღა რჩება აღდგომამდი. მხოლოდ რამდენიმე ხანი კიდევ და ჩვენ გველირება მიულოცოთ ერთმანერთს ამბორებით: „ქრისტე აღდგა“! პირველი ქრისტიანებისათვის ეს დიდი სამნიშვნელო და სანეტარო დღე იყო. ისინი ქრისტეს აღდგომას უმზერდენ სხვა თვალით, სხვა გრძნობით და სხვა იმედით. მათთვის აღმდგარი ქრისტე მოასწავებდა იმ სწავლის გამარჯვებას, რომლის წარმომადგენელი იყო დიდებული მათი მოძღვარი.

ქრისტიანები არ ეკუთვნოდენ მაშინდელ საზოგადოებას. ისინი ძველი ცხოვრების წესს: მონაობს, გარყვნილობას, უთანასწორობას, ძალადობას ეურჩებოდნენ და თავგამომეტებულად ებრძოდნენ. თავის ახალს სჯულსა და შეურყეველს სასოებას გარდა იმათ არავითარი იარაღი არა ჰქონდათ. ეველა ეს ახლად მოქცეული ქრისტიანენი უბრალო ხალხიდამ იყვნენ. ისინი არ იყვნენ სიმდიდრის, პატრონი იმათ არ სჭერიათ უმაღლესი ადგილები საზოგადოებაში, როგორც მათს მოწინააღმდეგებს. ამასთანავე, მათი რიცხვის სიმცირეს სრულიად უიმედო უნდა გაეხადა ისინი ყოველივე ბრძოლაზე წარმოუდგენელად უძლიერეს მტერთან. მაგრამ კაცი აღჭურვილი ჭეშმარიტების აზრებით დაუმარცხებელია: ის ძლევს ყოველს გარემოებას, ყოველს დაბრკოლებას, თუ წინამძღვრათ ენერგია და მტკიცე პატიოსანი მიზანი გაიკეთა.

სხვა და სხვა დაჩაგრული და დამონებული ხალხის მაგალითები ნათლათ გვიმტკიცებენ, თუ რის მოქმედია თავის სიმართლეზე დარწმუნება და გამარჯვების იმედი. ამისთანა შემთხვევებს ათასობით ვიპოვნით ჩვენ კერძო პირების ცხოვრებაშიაც:

ისეთი საწამლავი არ არის, რომლის საწინააღმდეგოც არ მოინახებოდეს, მაგრამ ამას გამოცნობა უნდა. აღდგომა ქრისტესი ნიშნავს თავის რწმუნების, თავის სიცოცხლის და სასოების გამარჯვებას. ცხადი უნდა იყოს, რომ ქრისტიანი, ნამეტურ პირველს საუკუნოებში, საცა შეხვდებოდა მეორეს თავის თანამგრძნობელს, სიხარულითა და აღტაცებით სავსე მიაგებებდა „ქრისტე აღდგას“. და მათგან წარმოთქმულს ამ სიტყვებს ღრმა აზრიც ჰქონდა.

×

აღდგომა გვითენდება, გაზაფხული დიდი ხანია უნდა დამდგარიყო ამ ჩვენს კეთილ ჰავიანს ქვეყანაში, მაგრამ წრეევანდელმა ტარიელმა საქმე გაგვიჭირვა...

თქვენი მტერია, რამდენი საპატიო კაცი ამ დაუბოლოვებელმა და სასტიკმა ზამთარმა შეაშინა. ზოგიერთი სასო-წარკვეთილებას მიეცენ, ჰფიქრობენ, რომ ეს სულ იმ კარაბადინის ბრალია, რომლის გამოსელამ ისე გამოაცქვეტინა ყურები ჩვენს საზოგადოებას. „ხაქართველოს განათლება, მისი გარეგა ევროპიელ ხალხის დასში უთუოდ გარეგანი ნიშნებით უნდა დაიწყოსო; აი იმისთვის ჯერ ჩვენ მოგვეველინა სუსხიანი, სასტიკი ზამთარი, და შემდეგისათვის კიდევ სხვა რამეებსაც დავინახავთო“, დარბაისლურათ მეუბნებოდა ერთი ნაცნობი კაცი. —„მართალია“ —შეეკადრე—„ განათლება გარეგან ნიშნებით იწყება, მაგრამ ბუნების მოელინებანი კაცთ ხელში არ არის, და მაშა სადამე წლეევანდელი ზამთრის საქართველოს გადასხვაფერებასთან შეკავშირებაც უსაფუძვლო გახლავს“ მეთქი.

ამაზედ დარბაისელმა ჩემმა ნაცნობმა ისეთი საფუძვლიანი დამტკიცებანი წარმოიდგინა, რომ ზამთარი სწორეთ ახალი ცხოვრებაში შესვლის დასაწყისია ჩვენთვისაო, რომ კინალამ დავეთანხმე. ამ დროს ბიჭმა—ააშენოს ღმერთმა მისი ოჯახი—გაზეთი შემომიტანა. შიგ წავიკითხე, რომ ევროპის თფილს ქვეყნებშიაც, მაგალითებრ იტალიაში, დიდი ზამთარი არისო და თითონ ვეზუვის მთა—ვეზუვის მთა, მოწყალენო ხელმწიფენო, მოფარულია თოვლითაო. იქაც ხომ სასტიკი ზამთრის გავლენის შიში არ არი, მაგრამ ხედავთ რა ამბებია მეთქი, ეუპასუხე ჩემს მომუსაიფებს. შემდეგ ჩვენ გადავედით სხვა საგნებზედ.

W.

წვრილი ამბები

—ბორიდგან სწერენ გაზეთს „კავკაზს“, რომ ახალციხიდგან ბორჯომამდის ქვაყრილი გზის გაკეთება გარდაწყვეტილიაო. მუშაობა ამ წელსვე უნდა დაიწყოს და სამი წლის განმავლობაში უნდა გათავდესო. ხარჯათ დანიშნულიაო 300 ათასი მანეთი. ქვაყრილი გზების გამრავლება ძალიან საჭიროა და სასიამო ჩვენთვის, მაგრამ კიდევ უფრო სასიამო ის არის, რომ ეს გზა ისე უნდა გააკეთონო, რომ რკინის გზისათვისაც გამოსადეგი იყოსო. კორრესპონდენტი ამბობს, რომ ამ მომავალი რკინის გზის პროეკტი, როგორც შეეტყვე, ძალიან კარგად არის შედგენილი, ასე რომ თითო ვერსტი 39 ათას მანეთად თუ დაჯდება, მეტი არაო. ცხრა-მუხიდგან (მიხაილოვი) ბორჯომამდის მტკვარზედ მარტო ორი დიდი ხიდი იქნებაო.

—იმავე გაზეთს სწერენ ბიჭვინტის მაზრიდგან, რომ სოფ. ფრინცხს ერთი ვერსტის სიგრძე და თითქმის ნახევარი ვერსტის სიგანე ზღვის კიდე ჩაქცეულა და დამსკდარა. მიწის ნაბძარი გაჭით ზოგან ერთი ალაბი იქნება და ზოგან ალაბ ნახევარი და ამოვსებულიაო წყლით, რომელიც ზღვისაკენ მიდისო. უთუოდ მიწას ქვეშ ტბა ყოფილა.

—„სასოფლო გაზეთს“ შეუტყვია, რომ ქიზიყში თითქმის მთელი სოფლის ახაშენის საგლეხო მამულები ერთს ვაჭარს ჩაუგდია ხელში. მთელს საქართველოში ძალიან გახშირებულია, რომ ადგილ-მამული, როგორც თავად-აზნაურობის ისე გლეხობის, ვაჭრების ხელში გადადის. თუ ეს თავდაჭერით და სხვა ღონისძიებით (სასოფლო ბანკების, სამეურნო შკოლების გაკეთებით) არ შეეჩერეთ, ერთ მშვენიერ დღეს ჩვენს თავა გალატაკებულად დავინახავთ და ჩვენს სამ ვიდრო მამულებს—ვაჭრების და ფულით მოიდარი უცხო ქვეყნელების ხელში.

—იმავე გაზეთს გაუგონია, რომ ს. შილდას ბანკის გაკეთებას აპირებენ.

—იმავე გაზეთისთვის უამბიათ, რომ თერგის ხეობაში თემს სამიოდ წლის წინათ გარდაუწყვეტია, რომ დღეის ამას იქით ძველებური ტირილი აღარ უნდა იყოსო. მაგრამ ამას კი არ გვატყობინებს გაზეთი, აასრულეს ეს თავისი გადაწყვეტილება, თუ არა. რაც უნდა იყოს, ეს ამბავი სწორედ სამაგალითოა და ძალიან უნდა გვიკვირდეს, რომ ჩვენი თავად აზნაურება ჯერ ვერ მიმხვდარა ამას.

—ამ თვის ოცდა ერთს ოძისის მსესხებელ-შემნახველს კასსას დაუწყია თავისი ოპერაციები. გაზეთები გვატყობინებენ, რომ ამ კასსაში ჯერ ჯეროობით ას ოცდა ათი წევრი და ორი ათას ხუთასი მანეთი თავნი არისო.

—ხარება დღეს თფისისში თითქმის დილიდამ დალამებამდის სულ ითოვა. მთები მეორე დღესაც მზის გადახრამდის თოვლით დაფარული იყვნენ. მკითხველებმა იციან, რომ ამ გვარი ზამთრის მსგავსი გაზაფხული მარტო ჩვენ არ გვწვევია. ასე რომ არ ყოფილიყო, უთუოდ ძალიან გული დაგწყდებოდა.

„დროების“ კორრესპონდენცია

ქუთაისი, 20 მარტს 1874 წ.

აი რა გავიგონე მე დღეს ერთის ჩემის ნაცნობის-გან:

ამ თვის 19-ს, ქუთაისში, სახელმწიფო სახლში, იყო რჩევა ქუთაისის სამოქალაქო დეპუტატებისა. რადგანაც ეს რჩევა ბევრის მხრით შესანიშნავი დარჩა და ჩემზედ დიდი შთაბეჭდილება იქონია, მე მსურს განუზიარო სხვებსაც ის ამბავი, რაც მოხდა ამ რჩევაში და რისაც მომლოდინე, სწორე მოგახსენოთ, არ ვიყავი. პირველათ როცა შევედი ზალაში, საშინლათ გამაოცა იმ შემთხვევამ, რომ აქ თავი მოეყარათ, დეპუტატების სარჩევათ, უმეტეს ნაწილს ქალაქის მცხოვრებლებს და არა იმ პირებს, რომელთაგანაც მოველოდით, რომ ქალაქის სასარგებლოთ იტყოდნენ რასმე, ესე იგი უფალი ჩინოვნიკები სრულებით თითქმის არ იყვნენ, სადღაც მიმალულ-მომალულ-იყვნენ.

მაგრამ ამ ხალხმა იმისთანა ენერგიული ძალა გამოიჩინა, რომ თითქმის ყველანი კარში გამოველას აპირებდნენ და ცოტა გაწყდა კენჭი აღარა ჰყარეს. მიზეზი ამისი იყო შემდეგი: რადგანაც კანონის ძალით პირველათ, კენჭის ყრამდის, ქალაქმა თავის საჭიროებაზედ უნდა ილაპარაკოს, ამისთვის ერთმა წევრთაგანმა, ესე იგი თ. ანტონ ლორთქიფანიძემ, განაცხადა წინაშე პრედსედატელისა საზოგადოების სურვილი, რომ ჯერ თავის საჭიროებაზედ უნდა მოვილაპარაკოთ და მერმე კენჭი ვჰყაროთო. ამაზედ პრედსედატელმა ბძანა, რომ ჯერ კენჭი ჰყარეთ და მერე საჭიროებაზედ ილაპარაკეთო. შემდეგ; როდესაც უფალმა ლორთქიფანიძემ განიმეორა თავისი თხოვნა, მაშინ პრედსედატელმა უბძანა ლორთქიფანიძეს, დასწეროს ქალალდზედ რაზედ სურს მას მოლაპარაკება. ანტონ ლორთქიფანიძემ აიღო ქალალდი და დასწერა საგანი, რომელზედაც უნდა ყოფილიყო მოლაპარაკება. ეს საგანი იყო: რაში მდგომარეობს მოვალეობა დეპუტატებისა წინაშე იმ პირთა და ქალაქისა, რომელნიც ირჩევენ მათ? პრედსედატელმა რომ წაიკითხა ეს საგანი, გაეცინა, ეს რა დაგიწერიათო? ბანა არ იციან ამათ, რა მოვალეობა აქვსთ დეპუტატებს და რისთვის ირჩევენ მათ, ამაზედ რაღა მოლაპარაკება უნდაო. იცით? მიუბრუნდა ანტონ ლორთქიფანიძე ხალხს, რა მოვალეობა აქვსთ დეპუტატებს თქვენ წინაშე? არა! არა! არა! ერთ ხმათ შეჰძახა ყველამ. დეპუტატები არიან, დაიწყო ანტონ ლორთქიფანიძემ, ჩვენი, ესე იგი ქალაქის მოურავები, და ჩვენ (მოქალაქები) მათი ბატონები. ჩვენ ჩავბარეთ მათ ჩვენი ქალაქის შემოსავალი და გასავალი. ეხლა ჩვენ ანგარიში უნდა მოგვცენ იმათ, რა დაგვრჩა ჩვენ და ან რაში მოიხმარეს მათ ქალაქის შემოსავალი. მინამ ესენი (დეპუტატები) არ მოგვცემენ ჩვენ ქალაქის ანგარიშს, ჩვენ ახალს არავის არ ამოვირჩევთ, იმიტომ რომ ჩვენ გვეუბნე-

ბიან, თქვენ ახალი მოურაეები ამოირჩიეთო და ეს ძველი მოურაეები თქვენს ახალ მოურაებს ანგარიშს მი'ცემენო. ბანა ეს საფუძ-ველიანი და კანონიერი თქმა არის? სთქვა ანტონ ლორთქიფანიძემ: საკვირველია, ჩვენ შემოსავალზედ მოურაეები ერთმანერთს ანგარიშს აძლეეენ და ჩვენ კი არა ფერი არ ეიცითო. ამის შემდეგ პრედსედატელი მაინც თავის აზრზედ დადგა და ბძანა ჯერ კენჭის ყრა. ანტონ ლორთქიფანიძე წამოდგა და თქვა, მე ჩემის მხრით ამ პიროობით კენჭის ყრა არა მსურსო და გამოიწია კარებისაკენ. იმას გაჰყვა ერთად მთელი დეპუტატობა და მისძახოდა: თუ შენ არგინდა, არც ჩვენ გვინ-დაო! შემდეგ, როგორც იყო, ისევ იმაზედ გადაწყვიტეს, რომ ჯერ კენჭი ჰყარონ და შემდეგ საჭიროებაზედ მოილაპარაკონ. დაიწ-ყო კენჭის ყრა. ქართველებმა დეპუტატათ ამოირჩიეს ანტონ ლორთქიფანიძე (200 კენჭისგან 172 თეთრი მოუვიდა და 28 შა-ვი კენჭი) ეველამ იქვე მიულოცა. ამბობენ, რომ ეს დარჩება დეპუტატათო, მაგრამ ვინ იცის! ამას გარდა კიდევ არის სამი დეპუტა-ტის კანდიდატი, იქნება იმათგან იქნეს ვინ-მე, ენახოთ.

შემდგომ ამისა იქავე შეეიტყე, რომ ქუ-თაისის ქალაქს ჰქონია თითქმის 80,000 მანე-თამდის შემოსავალი. ეს რომ გავიგე, სა-შინლათ გამიკვირდა, ვამბობდი ჩემ გუნება-ში: შეხედე ქუთაისს რა რიგათ ტიროდა, რომ არაფერი არა მაქვსო, დავიღუპეო, დავგლა-ხაკდიო! განა 80,000 მანეთი შემოსავალი სიგლახაკის ნიშანია? ერთი მითხარით, ვი-ძახდი ჩემ გუნებაში: ბევრ ქალაქსა აქვს რუსეთში ამისთანა შემოსავალი? მაგრამ, არა. მე ეიცი ქუთაისში ზოგიერთი ურიე-ბი, რომელნიც მისდღეში დაგლეჯილი და წუწიანი ახალუხით დადიან და დაწანწა-ლებენ, მაგრამ შეძლებით კი მილლიონს ალარა უკლიათ რა. სწორეთ ქუთაისსაც ამათ-გან მიეულია მაგალითი. როგორ არ სცხვე-ნიან ქალაქს მეთქი, ვიძახდი ჩემ გუნებაში, 80,000 მანეთი შემოსავალი აქვს და თი-თონ კი ტალახში და ჭაობშია. ქაცა ტროტრუარზედ შიშით ვერ გაეელის, რომ ფეხი არ მოიტეხოს. არა, რისთვის უნდა, ნე-ტავი ეიცოდე, ამდენი შემოსავალი, რატომ არ მოიხმარს, როგორც რიგია? ამაებს რომ ვეფიქრობდი, ერთ ჩემ მეგობარს წავაწყდი. რას ფიქრობ? მკითხა იმან. მე უთხარი სა-განი ჩემის ფიქრებისა. ჰერი ჰაა! ბაცინე-ბით მითხრა იმან. ამ სიტყვამ გამაშტერა. რას გაშტერებულხარო, მითხრა კიდევ ჩემმა მეგობარმა, ძმაო, შენ გიკვირს 80,000 მა-ნეთი შემოსავალი? შე დალოცვილო ისიც იკითხე, გასავალი რამდენია. აბა პატარა ხანს მოითმინე. გაიგებ, რომ ქალაქს ვალიცა აქვსო, და თითონ მიბრუნდა იქ, საცა კენჭის ყრა იყო, და დაიწყო ერთ ძველ დეპუტატთან ლაპარაკი. მე ბევრი ვინანე ამის შემდეგ, რომ ქუთაისს ვეესაყვედურებოდი, და უცებ გამომეცვალა აზრი. ამასთანავე შეეიტყე, რომ ეითომ ქუთაისის ქალაქი ხარჯავდეს რაღაც სხვა და სხვა საჭიროებაზედ წელი-წადში 28,000 მანეთს. შე დალოცვილო ქუ-თაისო, თუ კი სხვა და სხვა საჭიროების-თვის 28,000 მანეთს ხარჯავ, არ გირ-ჩევნია, ჯერ ტალახიანი ქუჩები გააკეთო, ბულვარი ამოწმინდო, რომ ბაყაყებმა მოსვე-ნება მოგვცენ, ტროტრუარი გააკეთო, რომ კაცმა ფეხები არ მოიმტვრიოს? ამა-სობაში კენჭის ყრაც გათავდა. საზოგა-დოებამ სთხოვა პრედსედატელს, რომ გუ-ბერნატორს წარუდგინოს შემდეგი საჭირო-ება ქალაქისა 1) როგორც სჩანს, ქალაქი ად-ლევს ჯამაგირს 1,200 მანეთს ერთს ცალკე დაქირავებულს ადვოკატს, და რადგანაც ჩვენ-თვის ადვოკატი საჭირო არ არისო და ად-ვოკატის სახელი გა'ვგონათაც გვეჯავრე-ბაო, გთხოვეთ, რომ ის ადვოკატი დღეის იქით ქალაქის ხარჯზედ ნულარ იქნებაო. და 2) მოგვეცეს ნება, რომ ქალაქის ქუჩები ჩვენვე გავაკეთოთო, რადგანაც უფალი პოდ-რიადჩიკი იღებს 5,000 მანეთს და 500 მანე-თისას ორს აკეთებსო. პრედსედატელი შე-პირდა, რომ წარადგენს მათს თხოვნას გუ-ბერნატორთან.

Дмитрი Тумановъ.

РУССЕТИ

—„მოსკოვის უწყებები“ გვაცნობებენ, რომ ამ წლის განმავლობაში ან მომავალი წლის დამდეგს ჩრდილოთს Симбирზედ ახა-ლი სამ'ჯულოების წესდება უნდა განავ-რცელონ. მომრიგებელი მოსამართლეები იქაც მმართებლობისაგან დანიშნული უნდა იქნენ, როგორც დასავლეთი რუსეთის გუ-ბერნიებში და ჩვენშია.

—სახალხო განათლების სამინისტროში შეუდგენიათ უნივერსიტეტების ახალი წეს-დება. ეს ახალი წესდება ძველისაგან იმ სტატიებით განსხვავდებაო, რომელიც მას-წავლებლების უნივერსიტეტებში მიზიდვას, ცალიერი კათედრების დაჭერას და სტუ-დენტების შრომის მომატებას შეეხებაო.

—პეტერბურღში გამოუცდიათ ახლად გა-მოგონებული სტამბის ამწყობი მაშინის, მუშაობა, რომელიც ძლიერ კარგი გამომ-დგარა. თუ მართლა ეს მაშინა ისე კარგია, რომ არა ვითარი დაბრკოლება არ შეეხვედ-ის გავრცელებაში, ძლიერ დიდი ხელის გამწყობი იქნება მწიგნობრობისათვის.

—ერთ რუსს ტეხნოლოგს გამოუგონია ბა-ლახებისაგან ქაღალდის კეთება. ეს ქაღალ-დი თურმე არაფრით არ დაუვარდება ბამ-ბისა და ტილოს ქაღალდს. ეს გამოგონება შეგვეწევა არა თუ მარტო მწიგნობრობის გავრცელებაში, ეს ბევრს სხვა და სხვა ავათმყოფობას შეამცირებს. ვინ იცის, რამ-დენი ავათმყოფობა ჩნდებოდა აქამდის ძვე-ლი დამპალი ტილოსა და ბამბეულის ნაფ-ლეთების გადატან-გადმოტანით და იმათგან საქაღალდე ცომის მზადებაში.

—ბაზეთი „პეტერბურღის უწყებები“ ეი-რას ამბობს ახალი სამხედრო წესდების გავ-ლენაზედ: „უეჭველი იყო, რომ ახალი სამ-ხედრო წე'დების გამოცემის შემდეგ წინან-დელზედ უფრო წარმატება მიეცემოდა ხალ-ხში წერა-კითხვის გავრცელებას. ეს იმედი ეხლა ცოტ-ცოტად გვისრულდება, რამდენ-ათაც შეგვიტყვია კორრესპონდენციებისა-გან. ეი რ.ს სწერს დუბოვსსარის სახალხო სასწავლებელის მზრუნველი პეტერბურგის წერა-კითხვის გამავრცელებელს კომიტეტს: ხუთი წელიწადია, რაც დუბოსსარის ქალაქ-ში სახალხო სასწავლებელი არსებობს; მაგ-რამ ამ უკანასკნელ დრომდის ვერასფრით ვერ დავაჯერე გლეხები, რომ იმათ თავიან-თი შვილები მკოლაში სასწავლებელად გაეგზავნათ. მოსწავლეთ რიცხვი ძლივ-ძლი-ეობით სამოცამდის აეიდა, და აქედანაც ნა-ხევარი ეკკლესიებში მოსამსახურეთა და სალ-დათების შვილები იყვენო. ამ გვარსავე მდგომარეობაში იყვენ სხვა ამ ქალაქის მახლობლად მდებარე სოფლების მკოლები. მთელს ზამთარში თხუთმეტი ყმაწვილი თუ დადიოდა თითო მკოლაში, დიდი იქნება. მაგრამ რა რომ ახალი სამხედრო კანონები გამოიცა, მკოლის მდგომარეობა შეიცვალა: ეხლა თხუთმეტის მაგიერ სამოცდა ათამდე მოსწავლე იკრიბება თითოეულს მკოლაში და დუბოსარისაში ოთხმოცდა ათი. ამას გარდა მრავალი ატყობინებს მკოლის უფროსებს, რომ ამ ცოტას ხანში ჩემს შვილს მკოლა-ში გამოვგზავნიო.“

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი.

საფრანგეთის ნაციონალურ კრებას სულ ერთი და იგივე საჩხუბარი და საშფოთო საქმე აქვს. „რესპუბლიკა, თუ მონარხია? ხალხის თავის უფლების დაარსება, თუ რო-მელიმე პრინცისათვის ფეშქაშად მირთმევა საფრანგეთისა,“ ეი საგანი ჩხუბისა.

„რაპელში“ დაბეჭდილია ახალი ამბავი. ნიიდგან წიგნი როშფორის მდგომარეობაზედ. იწერებიან, რომ როშფორს ბევრი მეგობა-რი და ნაცნობი შეხვდა კუნძულზედ, მასა-ვით დასჯილი მმართებლობის გან. სხვათა შორის მან ნახა პასკალ გრუსსე, თავის თანამშრომელი „მარსელიეზაში“. გრუსსემ იმ წამს უთავაზა როშფორს ნახევარი ალაგი მიწისგან გაკეთებულს ქოხში. იქ სხვა შე-ნობა არ არის. მაგრამ ერთი საწყენი საქმე მოხდა: როდესაც დასჯილების სიას კით-ხულობდენ, იმ დროს თურმე როშფორი არ დასწრებია იქ. მეორე დღეს მოვიდა ორი სალდათი, მივიდა გრუსსესთან და სთქვა ერთმა იმათგანმა: „როშფორ“ წამოდით ჩვენთან. თქვენ უნდა დაჯდეთ საპყრობი-ლეში, რადგანაც გუშინ სიის კითხვაზედ არ გამოცხადდით“ გრუსსე ძალიან აღელვა თურმე ამ კაცების ხმამ და პირ და პირ გა-მოსთქვა თავის აზრი ამ ნაირ უსინდისო საქციელზე, რომლისთვის ისეც ოთხი დღით ჩასვეს ხატუსალოში.

ვინც წინეთ იცნობდა როშფორს, ამბობ-ენ, რომ ის ისეთივე მახვილი გონებისა და გასაოცარ ჭკვიანად დარჩენილა. მაგ-რამ ტანჯვას, რომელიც ყოველთვის შეკავში-რებულია დაჭერასთან, ავადმყოფობას და თავის შვილების მოშორების მწუხარებას დაუჩენიათ მის სახეზედ დიდი განსაცდელის ნიშანი. თმა გათეთრებია, თვალები, რო-მელიც წინეთ საკვირველად ელვარებდენ, დღეს დამალულან და კიდევ უფრო ჩავარ-დნილან. როშფორი მხოლოდ მაშინაა საც-ნობი, როცა ლაპარაკობს. მაშინ კი ის ისევ ცოველდება და ემზგავსება უწინდელს „ლანტერნის“ რედაქტორს.

ბონაპარტის გაზეთები ძალიან ლანძღავ-დენ მოხუცებულს ბიზოს, იმისთვის რომ ნაპოლეონის ქებაზედ არ დათანხმდა ოლი-ვიეს წარმოსათქმელ საკადემიო სიტყვაში. ისინი ამბობდენ, რომ ბიზო წყალობით არის აესებული იმპერატორისგან და ეხლა უმადურობით იხდისო. ბიზოს შვილისთვის კი, მართალია, ეჩუქებია ნაპოლეონს 40,000 ფრანკი, მაგრამ ეს მაგას დღემდის არ სცოდნებია. ბაიგო თუ არა ეს სასირცხო საქმე, ბიზომ მაშინვე გაგზავნა ბანკში 90,000 ფრანკი, რომელიც შეადგენდა იმ დღიდგან თავისაც და სარგებელს.

ბიზომ სთხოვა ბანკს, რომ ამ ფულების ბილეთი გაეგზავნოს ნაპოლეონის ქვრივს, იმპერატრიცა ევგენიას. შვილს კი ამის მე-ტი არა უთხრა რა: „გადავგვარდით ჭეშმა-რიტათ.“

ესპანია.

სერრანოს ჯარსა და ქარლისტებს შუა დაწყებული ომის ამბავი ჯერ არ ეიცით გა-დაწყვეტილად. დეპეშა კი გვაცნობებს, რომ რესპუბლიკის ჯარს ძალიან შეუეიწროებია დონ ქარლოსის არმია. მაგრამ სრულს გა-მარჯვებას კი არ იწერებიან.

ბარიბალდის წიგნი მოსვლია ამას წინეთ, ქასტელარისგან, რომლითაც სთხოვდა ამ დაუღალავ ხალხის თავისუფლების დამცველს ესპანიაში მისვლას. ბარიბალდის სადმე საო-მრად გამგზავრება იმას ნიშნავს, რომ ორმო-ცი, ორმოცდა ათი დარჩეული სიმხნისა და პატიოსნების მეომარიც გაჰყვებოდა. მაგრამ სერრანოს ისეთი პირობები ჩაერთო ამ თხოვ-ნაში, რომ ბარიბალდიმ უარი შეუთვალა.

ინგლისი

ბლადსტონის სამინისტროს გამოცვლისა-თანავე გამოიცვალა თეატრის ცენზურის უფროსებიც. მაშინ თეატრის იჯარადარებ-მა ითხოვეს ახალს მმართებლობასთან, რომ მათ მი'ცემოდათ ნება იმ პიესების წარმოდ-გენისა, რომელიც წინეთ აღკრძალული იყო, როგორც საზოგადო ზნეობის შემაგინებე-ლი.

თეატრის მთავრობამ უარი უთხრა ამ თხოვნას. შესანიშნავია, რომ ინგლისში ცენზურა მარტო თეატრშია დარჩენილი. იქ შეიძლება უსასტიკესად ილაპარაკოთ ყოველ საქმეზედ, ყოველ მოვლენებაზედ, ილაპარაკოთ მთელს სახელმწიფო წყო-ბილებაზედ, თვით უპირველესს პირზედ სახელმწიფოში, ინგლისის დედოფალზედ, და ამისთვის არ დავსჯიან. მაგრამ საცა თეატრ-ში ისეთი სიტყვები იქნება წარმოთქმული რომელიც სასირცხო გასაგონია ახალგაზდა ქალისთვის, ამას კი დევნის საზოგადოება და უნიშნავს დარაჯს.

ნარევი

— საფრანგეთსა და ინგლისს შუა ზღვას ქვეშ დიდი გვირაბი უნდა გააკეთონ და იმა-ში რკინის გზა უნდა გაიყვანონ. გვირაბი სიგძით ოცდა თოთხმეტი ვერსტი იქნება და ცეცხლის-ეტლი საფრანგეთიდგან ინგ-ლისამდის ნახევარს საათს მივა. გამოუანგარი-შებიათ, რომ ამ საკვირველი გზის გაკეთე-ბას ხუთი წელიწადი მოუნდება და სამოცი მილლიონი მანეთი თეთრი ფული. წელი-წადში შვიდ მილლიონს ნაღდ შემოსავალს ელიან.

— ერთ უბრალო ავსტრალიელ მუშას მიუგნია ერთი წამლისათვის. ის გვირჩევს, რომ ვისაც ყიყვი სჭირს, იმან ერთ შუათა-ნა სტაქანს წყალში ოთხი წვეთი გოგირდის წყალი უნდა გაურიონ და დალიონო. ეს-წვილებს უფრო ნაკლები უნდა ასვათო. (ბოგირდის წყალი აფთიექაში ისყიდება)

— ბორნეოს კუნძულზედ (ინდოეთის მახლობლად) ერთი გვარი ცხოველები უპოვიათ, რომლის მსგავსი თურმე სხვა მახლობელ კუნძულებზედაც და სამხრეთს ამერიკაშიაც არისო. ეს ცხოველები კაცსავით ორი ფეხით დადიან თურმე და სიმაღლით ერთ ალაბ ნახევარი იქნებიანო. ისინი არავითარს სადგურს არ იშენებენო, ოჯახობა არ იციან, ცალ-ცალკე ცხოვრებენ, ძინავთ კლდის ქვაბებში და ხეებზედ, სჭამენო გველებს, მწერებს, ჭინჭვლის კვერცხებს და ხანდისხან ერთმანერთსაც. არც მოშინაურება და არც სამუშაოდ იმათი მოხმარება შეუძლებელიაო. იმათი ხმაურობა და ყვირილი თურმე სულ კაცის ლაპარაკსა გავს და სახე სულ კაცისას ემზგავსება თურმე, ერთი სიტყვით პატარა ველური კაცები არიანო.

— ერთი იტალიელი, ანტარინი, მისულა ლიმის ქალაქში (პერუს რესპუბლიკაში, ამერიკაში) და თან 200 მამლერალი თუთიყუშები მოუყვანია. რამდენიმე წელიწადია თურმე, რომ ეს კაცი ასწავლის ამ თუთიყუშებს და როგორც იქნა უსწავლებია მათთვის ორი ოპერა „სომნამბულა“ და „ნორმა.“ ამ მფრინველების წარმოსადგენად გაკეთებული აქვს თურმე პატარა თეატრული სცენა შესაფერი დეკორაციებით. ითოეული თუთიყუში მშვენიერად ასრულებდა თავის როლს. ითონ ანტარინი თუთიყუშების სიმღერას ფორტეპიანოს თამაშს აყოლებდა. ამბობენ, რომ პირველი წარმოდგენა ძლიერ მოეწონათო. ანტარინი თავის მომღერალებით თურმე ევროპაში გამოგზავრებას ეპირება.

— ამას წინათ ნაპოლეონ მესამის დროს პარიჟში ერთი ამერიკელი ბანკირი მოსულა და დაუნახავს, რომ ევროპიელები ორდენებსა და ვარსკვლავებს იკიდებენ, თითონაც დიდი უშველებელი ვარსკვლავი გაეკეთებინა, ბრილიანტებითა და მარგალიტებით შემკული, და გულზედ მიეკერა და ამასთან წითელი ღვალარებიანი ცისფერი ლენტი მხარღლიე გარდეკიდა და ამგვარად სასახლეში ბალზედ დასწრებია. ნაპოლეონს შეენიშნა ეს საკვირველი სამკაული, მისულიყო და ეკითხა:

ერთი ეს მიბრძანეთ, რომელი წმინდის ორდენია ეს თქვენი ორდენი?

„ეს ორდენი, თქვენო დიდებულებავ, ჩემი საკუთარი ღირსებისა და პატივის ორდენია“! უპასუხა თურმე ამაყმა ამერიკელმა.

ერთ პოლშელ ინჟინერს გამოუგონია თოფი, რომელიც 15 სეკუნდს 15 ჯერ გავარდება. იმას მიუწოდებია საფრანგეთის მმართველობისთვის თავის გამოგონება.

ლონდონში ერთი ახირებული პროცესსი ატყდა. ერთ თეატრში ორი აქტრისა იყო, და თითოეულს ამათგანს თავის მომხრე და თაყვანის მცემლები გაჩენოდათ. ეს პარტიები ძალიან ემტერებოდენ თურმე ერთმანეთსა და ბოლოს მეგობარი ქალებიც კი წასჩხუბეს ერთი მეორეს!

შური და მტერობა თან და თან ძლიერდებოდა. უკანასკნელად ერთმა პარტიამ მოისყიდა თორმეტიოდე კაცი და ყოველ წარმოდგენაზედ დასომდა სხვა და სხვა ალაგს თეატრში. ბამოვიდოდა თუ არა სცენაზედ მათი საძულველი მომღერალი ქალი, მაშინვე ერთი სტვენა და შშშ—ს ძახილი შეიქნებოდა. ერთხელ საბრალო აქტრისა ატირებული გაიქცა სცენიდამ ამ ნაირი გალანძღვისგამო. ბოლოს დროს მეორე პარტიამ შეიტყო და ამ ნაირი საჩივარი შეატანინა დაჩაგრულს აქტრისას მოსამართლესთან; „მე ჩემის ხელობითა ლუკმის შოვნის საშუალებას მისპობენ და გთხოვთ დამნაშავეებს აზღვევინოთ ზარალიო.“ მოსამართლემ მიიღო ეს საჩივარი, გამოიხმო მოწმები და საქმე წარმოებაშია.

ბიდეე მეორე ახირებული საქმე. მოსამართლეს გაურჩევია დუელის საქმე. მედუელე არიან ორი ყმაწვილი, ერთი თოთხმეტის წლისა და მეორე თორმეტისა.

დამნაშავეთ სკამზედ იჯდა ჯეროლდ მორის ბერნ, რომელსაც აბრალებდენ თავის თორმეტი წლის ამხანაგის დაჭრას დუელში.

ყმაწვილები არიან შკოლის შაგირდები. ამ შკოლაში გასაოცრადაა გახსნილი თურმე თავის პატივის დაცვა და კაცობრივი ღირსების დაუმცირებლობის მიმართულება. დუელის მიზეზათ ჰყოფილიყო ერთი რაღაც უმგზავსო მხატვრობა, რომელიც დაეხატა სიგრეევს ბერნზედ. ეს უკანასკნელი გაჯავრებული ამაზედ, დაეხია მხატვრობა და თორმეტის წლის მხატვარი ამხანაგი გამოეხმო „დასაზავებლად იარაღით“. სიგრეევი გაჰყოლოდა და სეკუნდანტებათ ჰყოფილან ორი ათ ათი წლის ბავშვები. ერთი ამათგანი კიდეეაც გამოცდილი ჰყოფილა ამ გვარ საქმეებში.

წინააღმდეგებს იარაღათ ტამბაჩა უხმარიათ. დუელში ბერნს დაუჭრია სიგრეევი, მაგრამ მსუბუქათ.

საინტერესო საყურებელი იყო თურმე ეს პროცესსი. ზალა საზოგადოებით გაიჭედა ადრიდანვე. დამნაშავეთ ალაგას ზის თოთხმეტი წლის ბრალდებული. მოწმეების ლოჟაში სხედან ბავშვები, რომელთაც დიდი კმაყოფილება ეტყობათ სახეზედ, რომ იმათ როგორც დიდებს ისე ეპყრობიან. მეორეს მხრით ბრძანდ დამსხდარი მოსამართლეები, თავის მანტიებში გახვეული და პარიკებით და აქით საზოგადოება, რომელიც სიცილს ძლივ იკავებს. მცირე წლოვანი მოწმები დიდის ღირსებით და სიმშვიდით აჩვენებდენ, როგორც იყო საქმე. მოსამართლის კითხვაზედ აი რას ამბობს ერთი ათი წლის ბავშვი: „ჩვენ ყველას გვესმოდა, რომ ჩხუბი უნდა გათავებულიყო ისე, როგორც შეფერის ჯენტელმენებს. (საპატიო კაცებს.) წინააღმდეგები 16 ნაბიჯზედ იყვნენ დაყენებული, საგანგებოთ ამ შემთხვევისთვის ჩასმული პალოების ძირს. ტამბაჩები გავარდა ნიშნებისა თანავე სეკუნდანტისგან. „ერთი“, „ორი“, „სამიო“ რომ დაიძახა სეკუნდანტმა და გააქნია ხელსახოცი, მაშინ ორივე მოპირდაპირემ ერთ დროს ესროლეს ერთმანეთს. ყველაფერი წესიერად და თანხმათ პატიოსნებისა ;მოვახდინეთ ჩვენ“.

ნაფიცმა მოსამართლეებმა გაამართლეს მედუელები და ჩვეულებისამებრ ინგლისისა მსაჯულთ-უხუცესმა მცირე მამობრივი დარიგება მისცა გამართლებულს, მაგრამ ერთი სიტყვაც არ წამოსცდენია იმაზედ, რომ ამისთანა საქმე, ნამეტურ ბავშვებისგან, სასაცილო და სამწუხაროაო.

დღემდის ახალი დაბყრობილი პროვინციებიდამ პრუსიის ხელმწიფის სამსახურში ერთი კაცის მეტი არ შესულა. 30 მარტს პრუსიის მემკვიდრეს მიეღო ქარლ ფეინდელი, რომელიც თარჯიმნათ წასულა ჩინეთში. ეს პირველია თურმე ალზას ლორენიდგან იმპერატორის სამსახურში.

— ამ ახლო ხანში გამოჩენილმა მოჭადრაკემ როზენტალმა მიიწვია პარიჟელი და უცხო ქვეყნელი ჭადრაკის მოყვარული კაცები, რომ იმათ ეყურებინათ იმისა და ოცდა შვიდი სხვა მოჭადრაკის თამაშისათვის. მაყურებლები სამასამდის შეკრებილან. როზენტალი ერთსა და იმავე დროს ოცდა შვიდ კაცს ეთამაშებოდა. თამაში გაგრძელებულა საღამოს ცხრა საათიდგან შუალამის ორ საათამდის. ითოეულს მოპირდაპირესთან როზენტალს ოცდა თხუთმეტი გამოსვლა ჰქონდა თურმე, ანუ ყველა მოთამაშესთან ცხრაას ორმოცდა ხუთი გამოსვლა ხუთი საათის განმავალობაში, ესე გი თითო წამში სამი კაცის გამოსვლას უპასუხებდა. ოცდა ექვსისათვის მოუგია როზენტალს თამაში და ერთთან, ვენგრიელ რაკოვსკისთან, წაუგია.

კორრესპონდენცია.

პარიჟი, 17 მარტს 1874.

სან-კლერ-დევილმა სწორეთ კუდიანივით იწინასწარმეტყველა: ამას წინათ გამოაცხადა, რომ ამ თვის ცხრიდამ ვიდრე ცამეტამდი თოვლი და ცუდი ტაროსი იქნებაო და შემდეგ კი ისევ კარგი დღეები დადგებაო. მართლაც, იმ ხუთი დღის განმავალობაში თოვლი, სიცივე და ავდარი არ შეწყვარებულა. მისაც თბილი ტანისამოსი და შეშისთვის ფული არ მოეძოდათ, ეს მარტში ზამთრის დაწყება არაფრად ეპიტნავათ, მაგრამ რას იქ, ბუნების კანონს სად წაუხვალ!

მის მაგივრად ეხლა მშვენიერი, მოწყენდილი, ულრუბლო ცა აფარია პარიჟს. ჰაერი ტკბილი, თბილი, მსუბუქი. ბაღებში მცენარები კუკურის გამოღებას იწყებენ. ვერსალისაკენ მინდვრები მწვანდებიან. ერთი სიტყვით, გაზაფხულის სუნმა მოჰბერა.

×

მაგრამ რამდენათაც ეს ბუნებითი ცა საფრანგეთისა ძოწყენდილი და წყნარია, იმდენათ იმის „პოლიტიკური ცა“ აღელვებული და შავი ღრუბლებით მოფენილია.

ერთი ამ ღრუბელთაგანი, რომელიც ეხლანდელ მმართებლობას ტყვიასავით აწვევს გულზე, ის კითხვაა, რომელიც ლეპერმა და ბამბეტამ ხვალ უნდა შეიტანონ ნაციონალურ კრებაში ბროჰლის ცირკულიარის თაობაზე. უეჭველად მმართებლობის შინაგან პოლიტიკაზე ჩამოვარდება ლაპარაკი. ბამბეტას პარტიას ჰსურს ამ შემთხვევით ისარგებლოს, ეხლანდელი სამინისტრო ჩამოაგდოს და მის ნაცვლად რამდენსამე ტიერის მომხრე (მარცხენა ცენტრის) წევრს შეარგევევინოს თავი სამინისტროში.

იცით, რაში მდგომარეობს ეხლა ბამბეტას პოლიტიკური იდეალი? იმაში, რომ მაკ-მაჰონის ნაცვლად რესპუბლიკის პრეზიდენტად ტიერი დასვას და სამინისტროში მარცხენა ცენტრის წევრები. ეს ჯერ-ჯერობით. შემდეგი მისი განზრახვა კი, რასაკვირველია, ის არის, რომ მმართებლობის ალვირი თვითონვე ჩაიგდოს ხელში.

ყველა იმის მოქმედებას, ანუ უკეთ ვსთქვათ, უმოქმედობას, ყველა იმის სიტყვას, ანუ კიდევ უკეთ ვსთქვათ, სიჩუმეს— ეს განზრახვა ატყვია.

×

ყურადღების ღირსია, მართლა, ეხლანდელი კრების რესპუბლიკური პარტიის მოქმედება. ამ პარტიას თითქო ეშინიოს თავის ნამდვილი პრინციპების და აზრების აშკარად გამოთქმა. თითქო ცდილობს, რომ კრებაში არ შენიშნონ ის; ისე იქცევა, თითქო ნამდვილი მგელი იყოს და უნდოდეს, რომ მგლობის სახელი არ დაუვარდეს; თითქო ხალხს ეშინოდეს იმისი. ნუ ეუბნებით მაგათ ნურც პრინციპების სიმტკიცეზე, ნურც აზრების შეუცვლელობაზე, ნურც ერთხელ გაკვლეული გზით სვლაზე! აზრებს იცვლიან, დღემდი რომ მარცხნივ მიდიოდნენ, დღეს მარჯვნივ იწევენ; გუშინ რომელიმე მონარხიელის მამაკვდავი მტერი იყვნენ, დღეს, ხედავ, ისევ მონარხიელი ცამდი აყავთ, თავის წრეში ჩაუთვლიათ; თან და თან უთმობენ მონარხიელებსა თავის უუწმინდეს რწმუნებებს და მოთხოვნილებებს, დღითიდღე ურიგდებიან იმ აზრებს და იმ მოქმედებებს, რომელნიც რესპუბლიკას აენებენ; თან და თან კონსერვატორების ტყაეში ძვრებიან.

—რარ იქცევით ასეო? რომ ჰკითხოთ რომელსამე ბამბეტის მომხრე რესპუბლიკელს, ის გიპასუხებთ:

—ამას პოლიტიკური ტაქტი თხოულობსო!

„პოლიტიკური ტაქტი“—ამ ორ სიტყვაზეა ეხლა ბამბეტა გაგიჟებული. ამ ორი სიტყვისაგან მოელის ის საფრანგეთისა და რესპუბლიკის შველას.

×

ამ დღეებში ერთმა ახალგაზდა რესპუბლიკელმა—ივ ბიომ—ერთი პატარა ბროშურა გამოსცა, რომელიც სწორეთ ამ თვალით უყურებს ეხლანდელი ნაციონალური კრების რესპუბლიკურ პარტიას და პირდაპირ ეუბნება იმათ, რომ „ახალგაზდა საფრანგეთს“ თქვენზე თითქმის სრულად დაწმენდილი აქვს იმედიო.

მაგრამ, რაც უნდა იყოს, ახლო მომავალი საფრანგეთისა მაინც ბამბეტას პარტიის რესპუბლიკელებს ეკუთვნის!...

×

ბონაპარტელებს გაუთენდათ ის დღე, რომელსაც ასე მოუთმენელად მოელოდნენ და რომლისთვისაც დიდის ვაი-უშველებლობით ემზადებოდნენ: გუშინ 16 მარტი იყო; ნაპოლეონ მესამის ვაჟი სრულ-წლოვანი შეიქნა; ბონაპარტელებს ტახტის მემკვიდრე მზათა ჰყავთ: ნაპოლეონ IV მზათ არის; ეხლა ერთი რამ აკლიათ მხოლოდ: ტახტი.

—ზღვა საშინელად აღელვებული არისო, ამბობდა გუშინ-წინ პრინცი ნაპოლეონის გაზეთი, რომელსაც საფრანგეთის ტახტი თავის პატრონისთვის უნდა.

—ამისთანა წყნარი, მშვიდობიანი ზღვა თავის დღეში კაცს არ უნახავსო, ამბობდა ნაპოლეონის პირდაპირი მემკვიდრის გაზეთი.

—ჩისლჰურსტში მხოლოთ ორი ათასმა კაცმა მოიყარა თავი სრულწლოვანის მოსალოცავათაო, ამბობს ერთი.

—ჩისლჰურსტის და ლონდონის სასტუმროებში თავისუფალი ოთახი აღარ არის: ყველა საფრანგეთის ყველა კუთხიდამ მოსულებით არის დაჭერილიო, ამბობს მეორე.

როგორც მოსალოდნელი იყო, ახლად გამოჩეკილმა 19 წლის სრულწლოვანმა ნაპოლეონჰა, რასაკვირველია, სიტყვა უთხრა იმათ, ვინც იმის მოსალოცავად მივიდნენ.

„იმპერატორის მეფობა საზოგადო სიკეთის სამსახური იყოო, სთქვა თავის მამაზე მემკვიდრემ, იმის უკანასკნელი დღე რაინდობით საესე იყოო... იმპერატორისაგან შეტყობილი მაქვს, თუ რა ძნელი ვალდე-

ბულებაა უზენაესის უფლების მიღება, მაგრამ თუ ხალხი მოითხოვს, მე დავემორჩილები იმის სურვილს და ვიკისრებ, როგორც შემიძლია, ამ მძიმე ტვირთისაო“..

საწყალი! მოსვენებას არ აძლევენ! საფრანგეთის ხალხი ყელზე ეხვევა, ეხვეწება: მოდი, შენი ჭირიმე, კისერზე დამაჯექიო! ამას კი არ უნდა, მაგრამ რა ქნას, ძალაუნებურად უნდა დათანხმდეს! მებრალება..

×

ამ თვის 25-ს შესრულდება ოცდა ხუთი წელიწადი მას აქეთ, რაც იტალიის მეფე, ვიქტორ ემმანუელი, ტახტზე ავიდა. იტალიის გაზეთები, ჩვეულებისამებრ, მოელოდნენ, რომ ამ დღის სახსოვრად მმართებლობა, უეჭველია, ამნისტიას გამოსცემს და პოლიტიკურ დამნაშავეებს აპატიებსო. ამის თაობაზე იტალიის „ოფიციალურ გაზეთში“ შემდეგი სიტყვებია დაბეჭდილი:

„ამნისტიის (პატიების) მანიფესტის გამოცემას ნურავინ მოელის იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეხლა იტალიაში არც ერთი კაცი არ არის დასჯილი, დამწყვდეული და სამშობლოდამ გაგდებული პოლიტიკური დანაშაულისთვის.“

×

ვიქტორ ჰიუგოს უკანასკნელი რომანი გუშინ წინ აქ მერვე გამოცემა გამოვიდა.

×

დღეს სალამოს ერთს აქაურ საზოგადოებრივ ალაში ერთი პროფესორი ლექციას კითხულობს, რომლის საგნად იქნება: „შედარება ქართველი, პარიჟელი და პროვანსელი ქალისა“.

შემდეგ წერილში მოგწერთ: რასაც იტყვის პარიჟელი პროფესორი ქართველ ქალზე!

პარიჟი, 24 მარტს 1874 წ.

წასულ წერილში გწერდით, რომ ხვალ ვერსალის კრებაში ამბები მოხდება—მეთქი. ეხლა თქვენ თვალ წინ გექნებათ ამ სხდომის ანგარიში და ის მშვენიერი, მჭევრმეტყველური და პოლიტიკური ტაქტით სავსე სიტყვა, რომელიც რესპუბლიკური პარტიის მხრით ბამბეტტას მეგობარმა—შალმელ-ლაკურმა—წარმოთქვა წასულ ოთხშაბათს.

×

მართალი გითხრათ, ძალიან გულით მინდოდა ამ სხდომაზე დასწრება, და ყველაფერი საშუალება ვეიხმარე, რომ როგორმე თავი შემეგრგო სხდომის ზალაში. მაგრამ ამაოდ: ვერც ჩემმა „უცხო ქვეყნის პუბლიტისტის“ სახელმა, ვერც „რედაქტორ-ან-შეფის“ კარტოჩკამ, ვერც ნაცნობებმა და მეგობრებმა ვერა მიშველესრა. ზალა გავ'ებული იყო, ალარავის არ უშვებდნენ; და მე იძულებული შევიქენი იმის ?ცქერით დავკმაყოფილებულიყავ, თუ პარიჟის სხვა და სხვა გაზეთების კორრეს'პონდენტები როგორ აგზავნიდნენ ყოველ მეოთხედ საათში, მტრედის ფოჩტით, პარიჟში ყველა ამბებს, რაც სხდომაზე ხდებოდა.... მხოლოდ ხანდისხან გავარდებოდა ჩვენს გროვაში ხმა:

— შალმელ-ლაკური ლაპარაკობს!...

— ბროჭლიმ დაიწყო!

— კაზენოვ დე-პრადინმაც ილაპარაკა!. და სხვ.

×

თითქმის ყველა გაზეთები ერთხმით აღიარებენ ეხლა, რომ ამ შალმელ-ლაკურის უკანასკნელი სიტყვისთანა ძლიერი და მოხერხებული სიტყვა დიდი ხანია არ წარმოთქმულა ნაციონალური კრების ტრიბუნაზედ. მართლაც, შალმელ-ლაკურის პირით, ბამბეტტა-პარტიამ პირ და პირი კითხვა მისცა მმართებლობას: გამოაცხადეთ, ვინ ხართ, რა ხართ, რა მმართებლობა ჰყავს საფრანგეთს რა არის მაკ-მაჰონის შვიდი წლის პრეზიდენტობა! ამ შვიდი წლის განმავალობაში ჩვენ ნამდვილი, შეურყეველი რესპუბლიკა გვექნება, თუ სხვა და სხვა მონარხიულ პარტიებს იმედი აქვთ, რომ დღეს ხვალ ან შამბორი, ან ბონაპარტის დინასტია მოიწვიონ?

ამ რესპუბლიკელი პარტიის სიტყვებს ლეგიტიმიტის კაზენოვ-დე-პრადინის სიტყვები დაერთო; ამან პირ და პირ გამოაცხადა, რომ „თუ საფრანგეთი შამბორს ამორჩევს თავის მეფედ, რასაკვირველია, რომ მაკ-მაჰონი შვიდ წელიწადს არ აცდევინებს იმასო“.

როგორც ხედავთ, მმართებლობა ისეთ მდგომარეობაში იყო დაყენებული, რომ პირდა-პირ უნდა გამოეცხადებინა: ამ შვიდი წლის განმავალობაში ყველა პარტიებს უნდა დარჩენოდა იმედი თავიანთი განზრახვების შესრულებისა, თუ რესპუბლიკური მმართებლობა და მაკ-მაჰონის პრეზიდენტობა იქნებოდა.

×

ეხლა თქვენ გაზეთებიდამ იცით, რასაკვირველია, თუ რა შედეგი ჰქონდა ასე პირდა-პირი კითხვის შიცემას. ბამბეტტას გაზეთი ადრევე აცხადებდა, ჩვენ იმედი არა გვაქვს, რომ როდესაც კენჭის ყრაზე მივა საქმე, უმრავლესობა შეეძლოთ და ეხლანდელი სამინისტროთ გადავაგდოთ; მაგრამ იმის იმედი კი გვაქვს, რომ ეს კითხვა გადაწყვეტილ პასუხს გამოათქმევინებს ეხლანდელ ჩვენ სამინისტროსაო.

მართლაც, კენჭის ყრით, მმართებლობას 60 ხმის უმეტესობა ჰქონდა, მაგრამ მეორე დღესვე რესპუბლიკის პრეზიდენტი იძულებული იყო პირ-და-პირ გამოეცხადებინა, რომ „შვიდი წლის განმავალობაში მე ვიქნები საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი, შვიდი წლის განმავალობაში ყველა პარტიებისაგან დავიცავ ამ უფლებას, რომელიც ნაციონალურ კრებამ მომანდოთ და სხვ.“ მესამე დღეს მმართებლობის ბოძანება გამოვიდა, რომლის ძალითაც პადუას გერცოგი და ორი სხვა ბონაპარტიელი მერი, რომელნიც ჩისლჰურტში იყვნენ ნაპოლეონის შვილის სრულ წლოვანობის მისალოცავად, გადაყენებული იყვნენ თავიანთ თანამდებობისაგან. ამას გარდა გუშინ სახალხო განათლების მინისტრმა, ფურტუმ, კიდევ გაიმეორა ის აზრი, რომ ნაციონალური კრების სურვილის აღსრულებას არაფერი არ აღუდგება წინაო, რა მინისტრებიც უნდა ყვანდეს მაკ-მაჰონს, მაინც ჩვენ რესპუბლიკა არ მოგვეშლება და შვიდი წლის განმავალობაში მაკ-მაჰონის პრეზიდენტობა დაამშვიდებს საზოგადოთ უთანხმოებასაო.“

ამნაირათ, საფრანგეთმა იცის ეხლა, რომ ამ შვიდი წლის განმავალობაში იმის ეხლანდელი მმართებლობის შეცვლა ძალ-დაუტანებელად შეუძლებელი იქნება, რომ პალატის მარჯვენა მხარის სხვა და სხვა განზრახვებს ცოტა არ იყოს ფრთები მოეჭრათ, რომ, ერთის სიტყვით, იმას რესპუბლიკური მმართებლობა ჰყავს.

როგორი რესპუბლიკური მმართებლობა! აი, ეს კითხვა აწუხებს ეხლა ყველას.

მაგრამ რესპუბლიკური გაზეთები ამასაც ამბობენ: როგორიც უნდა იყოს ეს რესპუბლიკა, მაინც რესპუბლიკა არისო; ერთი უმთავრეს უპირატესობათაგანი რესპუბლიკისა, სხვათა შორის, ის არის, რომ ამ მმართებლობის პირების გამოცვლა და სახელმწიფოს გამგეთ უკეთესი პირების ამორჩევა ადვილად შეიძლებაო, მაშინ როდესაც ბურბონებისა და ნაპოლეონებისაგან განთავისუფლება ბევრს მსხვერპლს მოითხოვსო.

×

დღეს დილინდელ გაზეთებში დაბეჭდილია ერთი ძლიერ შესანიშნავი წინადადება, რომელიც ნაციონალური კრების წუხანდელ სხდომაში ოთხმოცდა სამ რესპუბლიკელ დეპუტატს წარუდგენიათ. ეს წინადადება თხოულობს, რომ ეხლანდელი ნაციონალური კრება დაიშალოს, 28 ივნისის თვის ახალი ამორჩევები იყოს დანიშნული და ამნაირად ეხლანდელმა კრებამ 15 ივლისს 1874 ახლად ამორჩეულ კრებას ჩააბაროს უფლება

ადვილად შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ბატონ-ბატონ ბედისათვის ამ ახლანდელი ხუთასი, უფლიანი კრების დათხოვნას და ახალს ამორჩევას: ამ თვის 28-ს კრება დროებით დათხოვნილი იქნება მაისის დამდეგამდი და ამიტომ ამ შესანიშნავ წინადადებაზე ლაპარაკი, უეჭველია, მაისამდის არ იქნება.

ს. მესხი.

განცხადება

ნაფიცი ექილის თანა-შემწე ვასილი ბიორგის ძე მ.ჩ ბელი კისრულობს კავკასიელი საქმეების ექილობას სხვა და სხვა სამმართველოებში და უმთავრესად სენატში, აგრეთვე სპრავკების გაგზავნას. თითეული სპრავკისთვის უნდა გამოგზავნოთ ხუთი მანეთი.

ადრესი: въ Петербургъ, Малая Садовая домъ № 8, кв. № 24.

ქონსულის ქუჩაზე, გენერალი აგაევის სახლში, დომბროვსკის სადგომში ისყიდება: შრედერის ფორტეპიანო—ორას მანეთად, ბუფეტი ნიგვზის (კაკლის) ხისა—სამოცდა ათ მანეთად და სხვა საოჯახო ნივთეულობა და მებელი.

მაქვს პატივი განუცხადო საპატიო თფილისის საზოგადოებას, რომ ჩემი მხეცთსამწყვდეევი კიდევ ცოტა ხანს დარჩება აქ მთელს აღდგომის კვირაში. ფასი პირველის ადგილისა იქნესი შაური, მეორეს ადგილისა—აბაზი, მესამისა—ორი შაური. ყმაწვილები (ათ წლოვანობამდის) პირველისა და მეორე ადგილის ბილეთში ნახევარს ფასს იხდიან.

მხეცების დაპურება არის: პირველად ოთხ საათზედ ნაშუადღევს და მეორედ საღამოს ექვს საათზედ.

ერნესტ ფეილ.

„დროება“. 1874, № 417

ცნობათ-ფურცელი

თფილისი, 29 მარტი 1874 წ.

რკინის გზა

ა) თფილისიდამ

	დილა	საღამო
თფილისი	8.8	8.17
მცხეთა	9.8	10.—
ბორი	11.39	1.43
სურამი	1.52	4.30
ქვირილა	6.49	
ქუთაისი	7.55	
სამტრედია	9.02	
ახალ-სენაკი	10.02	
ფოთი	11.27	

ბ) თფილისისკენ

	დილა
ფოთი	7.38
ახალ-სენაკი	9.11
სამტრედია	10.2
ქუთაისი	11.7
ქვირილა	12.38
სურამი	4.57
ბორი	7.23
მცხეთა	9.52
თფილისი	10.49

	დილა	
	7.15	
	10.12	
	1.49	
	3.13	

გ) ფასი თფილისიდამ

	I კლ.	II კ.	III კ.
მცხეთამდი	90	68	38
ბორამდი	3.20	2.40	1.33
სურამიდამ	5.22	3.92	2.18
ქუთაისამდი	9.—	6.75	3.75
ფოთამდი	13.1	9.75	5.42

ცეცხლის გემები

ა) შავ-ზღვაზე

ფოთიდამ გემი მიდის:

ოდესისკენ—ხუთშაფ. შუადღეზე.

სტამბოლს—კვირაობით შუადღეზე.

სოხუმიდამ:

ფოთს—სამშაფათს, ღამე.

ოდესას—პარასკევს, შუადღეზე.

ბ) კასპიის ზღვაზე:

ბაქოდამ გემი მიდის:

ასტრახნისკენ—

ასტრაბადისკენ—

ტელეგრაფი

ოცი სიტყვის გაგზავნა ტელეგრაფით ღირს თფილისიდამ:

	მ.	კაპ.
ქუთაისს, ფოთს	1	—
ბორს, დუშეთს, სიღნახს	—	50
როსტოვს ოდესას მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას	3	—
ვენას, ავსტრიაში	2	75
ბერმანიაში	2	63
იტალიაში	3	50
საფრანგეთში	3	38
შვეიცარიაში, ოსპალეთში	3	—
ინგლისში	4	—
საბერძნეთში	3	25
სპარსეთში	5	76

ფოსტა

ა) თფილისიდამ:

რუსეთს: ყოვ. დღეს, კვირას გარდა

ქუთაისს: ყოველ. დღე კვირას გარდა.

კახეთს, ზუგდიდს: პარასკ. ოზურგეთს: ორშ., პარ. ბაქოს: სამშაფათს და პარასკ. ალექსანდრეპოლს: ოთხშ. და პარასკევს. (შუადღემდი)

ბ) ქუთაისიდამ:

თფილისს და რუსეთს: ორშაფ. ოთხშაფ. და პარასკ. ფოთს და სოხუმს: ორშაფ. ხუთშაფ. და შაბათს. ოზურგეთს, ზუგდიდს და ახალ-სენაკს: ორშაფათობით (ღამიდან.)

გ) ზ ო რ ი დ ა მ.

ყოველგან: ორშაფ ოთხშაფ. და პარასკევობით (ღამის შვიდ საათამდე)

დ) ფ ო თ ი დ ა მ:

ყოველგან: ყოველ დღე.

წიგნის გაგზავნა ღირს:

	კაპ.
ლია წიგნის რუსეთში	5
დაბეჭდილი წიგნის რუსეთში	10
საფრანგეთში	20
ბერმანიაში	10
ინგლისში	16

ბირჟა

პეტერბურგი, 15 მარტს

	მან.	კაპ.
ბანკის ბილეთი 5%	96	—
მოგებიანი (პირველი სესხის)	165	—
მოგებიანი (მეორე სესხისა)	162	—

კ ურ ს ი

ერთ მანეთში იძლევიან.

ლონდონში	33 1/4	ფენ სან
პარიჟში	350	
ვენაში	—	—
ესკონტი (სარგებლის ფასი)	7 1/2	—
ბრაოს ფურცლები:	—	—
ხერსონის ბანკისა (5 1/2)	85 1/2	—
ხარკოვის (6%)	83	—
მოსკოვის (5%)	87	—

აქ ც ი ე ბ ი:

შავიზღვის ცეცხ. გემების	567	—
კავკაზის და მერკურის	195	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	127	—
თფილისის სავაჭრო ბანკის	—	—
ოდესის სავაჭრო ბანკის	240	—
„სალამანდრასი“	340	—
კომპანიის Двигатель	100	—
პირვ. უზრუნველ-მყოფი (страх. общ.) საზოგ	638	—
მეორე უზრუნ. მყოფი საზ.	178	—
პეტერბ. უზრუნვ. მყოფი	262	50
მოსკოვის უზრუნვ. მყოფი	266	—

თფილისის მაზანდა

29 მარტს, 1874 წ.

	მან	კაპ
პური ერევნის		95
— ბანჯის	1	—
— შორაგლის	1	—
ქერი	—	60
ბამბა ერევნის	3	50
— ამერიკისა	5	70
ბაპენტილი ბამბა	8	—
მატყლი თუშური	6	—
— თარაქნული	4	—
აბრეშუმი	7	—
ქონი	4	—
ქონის სანთელი	6	—
სტეარინის სანთელი	11	—
ხორცი ძროხის	—	80
— ცხვრის	—	90
სპირტი	7	—
შაქარი კარგი	8	—
— მდარე	7	80
— ფხვნილი	6	—
ყავა ბრგელი	20	—
— საშუალი	18	50
— მდარე	16	50
ზეთი ქუნჯუთის	7	—
— მწარე	4	—
ოქრო ნახევარი იმპერიალი	6	—

სახაზინო განცხადებები

—თბილისის გუბერნის სამმართველოში მომავალს ათს მაისს ისყიდება თ. პეტრე ბებუთოვის საკუთარი ს. ახალდაბას მდებარე სახნავი, საბალახო და ტყიანი მიწები, რომელიც გირაოთ აღებული ჰქონდათ იჯარადრებს დუბენსკისა და იშხანოვს. ეს ადგილები ისყიდება 3785 მანეთის ვალში.

—„კავკაზის პრიკაზში,“ დიდის თავადის ნამესტნიკის ნებართვით, დანიშნულია 17 ივნისს ხელ-მეორეთ ვაჭრობა ბულიაზოვების, ს. ბრიმელოვის, ბ. ხანჩალუზოვის საკუთრება ქვის სახლებისა და ადგილების გასასყიდად პირველის ვალია 2250 მანეთი, მეორესი—1500 და მესამესი—600 მანეთი.

—ამავე რიცხვს არის ხელ-მეორედ ვაჭრობა თ. ალ. ივ. ბელიანის ადგილ-მამულის გასასყიდად. მამულზედ 20 ათასი ვალი არის.

(დაწვრილებითი ცნობები იხილე „კავკაზის“ №№ 32, 33-ში)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 29 Марта 1874 г. მელიქიშვილის და ამხ. სტამბა. გამომცემელნი ს. მელიქიშვილი და ს. მესხი.—დროებითი რედაქტორი კ. ლორთქიფანიძე.